

19/06/2026



MES 5 26 0000724117

**ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების  
ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

საბჭოს თარიღი: 11.06.2026 წ;  
სხდომის დაწყების დრო: 10:00 სთ;  
სხდომის დასრულების დრო: 16:15 სთ;  
საბჭოს თავმჯდომარე - ეკატერინე ლეჟავა;  
საბჭოს მდივანი - თამარ ჩიკვილაძე.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად თანამედროვე ელექტრონული საშუალების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

**1. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭოს) წევრები:**

**ეკატერინე ლეჟავა** - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე;

**თამარ ჩიკვილაძე** - ა(ა)იპ - კერძო ბაგა-ბაღების ასოციაციის წევრი, შპს ცეროდენას დირექტორი - საბჭოს მდივანი;

**ნინო ლაბარტყავა** - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელშეწყობის პროგრამის მენეჯერი, საბჭოს წევრი, სხდომის მდივანი;

**თეა ბაქრაძე** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის დეპარტამენტის ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, საბჭოს წევრი;

**მაკა მაისურაძე** - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის სურსათით ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სამმართველოს უფროსო, საბჭოს წევრი;

**მარინე ბაიდაური** - საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის დეპარტამენტის რეგულირების სამმართველოს უფროსი, საბჭოს წევრი;

**ნინო გიუაშვილი** - სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სახელმწიფო პროგრამის - „დაავადებათა კონტროლისა და ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების პროგრამის მართვა“ გარემოს ჯანმრთელობის საკითხებში საერთაშორისო თანამშრომლობის სპეციალისტი, საბჭოს წევრი;

**რონა პერტია** - სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საბჭოს წევრი;

**ნათელა ლურსმანაშვილი** - ა(ა)იპ - ქალაქ თბილისის №15 საბავშვო ბაგა-ბაღის აღმზრდელი, საბჭოს წევრი;

**ნანა ათუაშვილი** - ა(ა)იპ - კახეთის სამხარეო განვითარების ცენტრის დირექტორი, საბჭოს წევრი.

## **2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

**მარი მიქაუტიძე** - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

**თეა ცერცვაძე** - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

**თამარ ბიბილაშვილი** - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

**ნინო დვალიშვილი** - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

**სოფიკო მიქაძე** - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

**ნინო კაპანაძე** - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

**ცირა თარალაშვილი** - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

**თამარ ქევხიშვილი** - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

**გოგა პარუნაშვილი** - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

## **3. ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების წარმომადგენლები:**

### **1) ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება:**

ნონა დავითაშვილი - გაერთიანების დირექტორი;

**ახალსოფლის N1 საბავშვო ბაგა-ბაღი:**

ვერიკო თათულაშვილი - მენეჯერი;

**საბურთის საბავშვო ბაგა-ბაღი:**

მარიამ კაცობაშვილი - მენეჯერი;

**ყვარლის N1 საბავშვო ბაგა-ბაღი:**

ეკა ჩიკვილაძე - მენეჯერი.

### **2) ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტო:**

გიორგი შათირიშვილი - სააგენტოს მენეჯერი;

**ქ. გორის N20 სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულება:**

ასმათ ტატიშვილი - დაწესებულების დირექტორი;

**ქ. გორის N12 სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულება:**

ელენე დავითაშვილი - დაწესებულების დირექტორი;

**სოფელ სკრის სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულება:**

ამალია კაკაშვილი - დაწესებულების დირექტორი;

**სოფელ მეჯვრისხევის სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულება:**



**8) ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტო (სოფელ ზერტის სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულება):**

მარინა გოგოლაძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;

დინარა ბოლქვაძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;

თამარ ქრისტესაშვილი - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;

ნანა ბურჯანაძე - სანიტარული-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ (შემდგომში - დროებითი წესი) 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა. საბჭოს სხდომა 2026 წლის 11 ივნისს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 10:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დროებითი წესის 21-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება ავტორიზაციის საბჭოს წევრთა სიით შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს აცნობა, სხდომის მიმდინარეობის აუდიოჩანაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დროებითი წესის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:**

1. ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში შემავალი ახალსოფლის N1 საბავშვო ბაგა-ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში შემავალი საბუის საბავშვო ბაგა-ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში შემავალი ყვარლის N1 საბავშვო ბაგა-ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოში შემავალი ქ. გორის N3 სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულების ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოში შემავალი გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარიანის სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულების ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოში შემავალი გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფლავის სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულების ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოში შემავალი გორის მუნიციპალიტეტის სოფელ შავშვების სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულების ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოში შემავალი ქ. გორის N11 სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულების ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოში შემავალი ქ. გორის N20 სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულების ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

10. ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოში შემავალი ქ. გორის N12 სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულების ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
11. ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოში შემავალი გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულების ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
12. ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოში შემავალი გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევის სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულების ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
13. ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოში შემავალი გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზერტის სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულების ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

### **შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით:**

- **ღიახ**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა, რომ ობიექტური მიზეზების გამო, ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოში შემავალი: ქ. გორის N3, სოფელ ვარიანის, სოფელ ფლავის, სოფელ შავშვებისა და ქ. გორის N11 სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების ავტორიზაციის საკითხის განხილვა ჩანიშნულიყო 2026 წლის 18 ივნისის საბჭოს სხდომაზე.

საბჭოს წევრებმა ერთხმად გამოხატეს თანხმობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა ცვლილებით და წარმოდგენილი სახით:

1. ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში შემავალი ახალსოფლის N1 საბავშვო ბაგა-ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში შემავალი საბუის საბავშვო ბაგა-ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში შემავალი ყვარლის N1 საბავშვო ბაგა-ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოში შემავალი ქ. გორის N20 სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულების ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოში შემავალი ქ. გორის N12 სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულების ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოში შემავალი გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულების ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოში შემავალი გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევის სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულების ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოში შემავალი გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზერტის სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულების ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

### **პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა:**

ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების (ახალსოფლის N1 საბავშვო ბაგა-ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს სხდომას საპატიო მიზეზის გამო დროებით ვერ ესწრებოდა საბჭოს მდივანი, თამარ ჩიკვილაძე და სხდომის მდივნის დროებითი უფლებამოსილება გადასცა საბჭოს წევრს - ნინო ლაბარტყავას.

საბჭოს თავმჯდომარემ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მადონა ქეშიკაშვილმა. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში შემავალ ახალსოფლის N1 საბავშვო ბაგა-ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 16 და 17 აპრილს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის; სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 90. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმებოდა და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 90 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, მადონა ქეშიკაშვილმა, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ, მეორე და მესამე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო მეოთხე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების პროცესით.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლის განმარტებით, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ საკითხებზე მუშაობა განხორციელდება, კვების ორგანიზებასთან დაკავშირებული ხარვეზები აღმოიფხვრება, ხოლო ბურღულეულის ოდენობასთან დაკავშირებული საკითხი ახალი ტენდერის გამოცხადების შემდეგ მოწესრიგდება.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა, რეფერირების საკითხით.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლის განმარტებით, რეფერირების საკითხებზე პასუხისმგებელი პირი განსაზღვრული იქნება, შესაბამისი დოკუმენტაცია კი მოქმედ რეგულაციებთან შესაბამისობაში იქნება მოყვანილი. ამასთან, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უზრუნველყოფილი იქნება მენეჯერების, ექთნებისა და აღმზრდელების გადამზადება.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა ბავშვზე შესაძლო ძალადობის ფაქტების გამოვლენისა და შესაბამისი რეაგირების მექანიზმით.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ შესაძლო შემთხვევების იდენტიფიცირებისას ინფორმაცია მიეწოდება ხელმძღვანელობას, ხოლო ფაქტის დადასტურების შემთხვევაში განხორციელდება შესაბამისი ორგანოების ინფორმირება.

საბჭოს წევრი, ნინო გიუაშვილი, დაინტერესდა, სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის, გადამდებ დაავადებებთან მიმართებით პრევენციის, ბავშვებში პირადი ჰიგიენის უნარ-ჩვევების განვითარებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურული გარემოს მოწყობის საკითხებით.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნულ მიმართულებებთან დაკავშირებით დაწესებულება შესაბამისი რეგულაციებით იხელმძღვანელებს, უზრუნველყოფილი იქნება პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, ხოლო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული საკითხები ეტაპობრივად მოწესრიგდება.

საბჭოს წევრი, ნინო ლაბარტყავა, დაინტერესდა 66-საათიანი ტრენინგ-მოდულის ფარგლებში საგანმანათლებლო პერსონალის გადამზადებისა და აღმზრდელ-პედაგოგის პოზიციის საკითხებით.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლის განმარტებით, მიმდინარე ეტაპზე დაგეგმილია 50 მასწავლებლის გადამზადება 66-საათიანი ტრენინგ-მოდულის ფარგლებში. მისივე განმარტებით, დაწესებულებაში ამ ეტაპზე აღმზრდელ-პედაგოგის პოზიცია არ არის, თუმცა აღმზრდელებს გავლილი აქვთ შესაბამისი პროფესიული ტრენინგები, ხოლო სამომავლოდ დაგეგმილია მათი დამატებითი გადამზადება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო - 11:02**

**დასრულების დრო - 11:10**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების (ახალსოფლის N1 საბავშვო ბაგა-ბაღი) ავტორიზაციის და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 90 -ით განსაზღვრის საკითხი.

## **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 4

წინააღმდეგი - 3

## **გადაწყვეტილება:**

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-6 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებას (ახალსოფლის N1 საბავშვო ბაგა-ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 90-ით.

საბჭომ I, II და IV სტანდარტებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი დაწესებულებას განუსაზღვრა არაუგვიანეს 2028 წლის 11 ივნისისა.

## **მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა:**

**ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების (საბუის საბავშვო ბაგა-ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მადონა ქეშიკაშვილმა. მან აღნიშნა, რომ ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში შემავალ საბუის საბავშვო ბაგა-ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 18 და 19 აპრილს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული აქვს შემდეგი კურიკულუმები: ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის და სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების თვითშეფასების ფორმის

თანახმად, მოთხოვნილი ბავშვთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 37-ს. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმებოდა აღნიშნულ მოთხოვნას და მიიჩნევდა, რომ დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საადმინისტრაციო და საგანმანათლებლო მომსახურების გაწევა 37 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, მადონა ქეშიკაშვილმა, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ, მეორე და მესამე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა ჯგუფების ორგანიზების საკითხით. დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ბალი ფუნქციონირებას შერეული ასაკობრივი ჯგუფების პრინციპით დაიწყებს და ბავშვთა მცირე კონტინგენტის გათვალისწინებით, დაგეგმილია ორი შერეული ჯგუფის ჩამოყალიბება.

საბჭოს წევრი, ნინო გიუაშვილი, დაინტერესდა, იგეგმება თუ არა საბავშვო ბაღის პერსონალის გადამზადება სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის, დასუფთავებისა და შესაბამისი პროცედურების განხორციელების მიმართულებით.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ახალი ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ პერსონალის გადამზადებასთან დაკავშირებული ღონისძიებები გათვალისწინებული იქნება და აღნიშნული მიმართულებით შესაბამისი აქტივობები განხორციელდება.

საბჭოს წევრი, ნანა ათუაშვილი, დაინტერესდა, როგორ მოხდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების იდენტიფიცირება და რა ფორმით განხორციელდება მშობელთა ინფორმირება და ჩართულობა აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული მიმართულებით უზრუნველყოფილი იქნება მშობელთა აქტიური ჩართულობა, ხოლო ინფორმაციის გაზიარებისა და თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით, ჩატარდება მშობლის საათი, მშობელთა კრებები და ინდივიდუალური შეხვედრები.

საბჭოს წევრი, ნინო ლაბარტყავა, დაინტერესდა, გათვალისწინებული იქნება თუ არა საბავშვო ლიტერატურის შეძენა და როგორ მოხდება მისი განახლება.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ჯგუფებში მოეწყობა წიგნიერების ცენტრები, ხოლო საბავშვო ლიტერატურის შეძენა და პერიოდული განახლება მომავალი წლიდან ბიუჯეტით იქნება გათვალისწინებული.

საბჭოს წევრი, ნათელა ლურსმანაშვილი, დაინტერესდა, რა მეთოდებით შეფასდება ბავშვის განვითარება და პროგრესი.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ შეფასება სპეციალურად შემუშავებული კითხვარების გამოყენებით განხორციელდება.

კურიკულუმის ექსპერტმა, ზოია გაგნიძემ, განმარტა, რომ აღნიშნული ფორმები ბავშვის ასაკობრივი განვითარების სტანდარტებს ეფუძნება, რომლებითაც ყვარლის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღები იხელმძღვანელებენ.

საბჭოს წევრი, მაკა მაისურაძე, დაინტერესდა, როგორ იქნება უზრუნველყოფილი საბავშვო ბაღში სურსათის მიღებისა და ხარისხის კონტროლი.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სურსათის შესყიდვა, გაერთიანების მიერ, დადგენილი სტანდარტებისა და პროცედურების შესაბამისად განხორციელდება, ხოლო საბავშვო ბაღის ხელმძღვანელი პასუხისმგებელი იქნება მიღებული პროდუქციის შესაბამისობის შემოწმებასა და კონტროლზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო - 11:52**

**დასრულების დრო - 12:00**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების (საბუის საბავშვო ბაგა-ბაღი) ავტორიზაციის და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 37 -ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 4

წინააღმდეგი - 3

**გადაწყვეტილება:**

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-6 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებას (საბუის საბავშვო ბაგა-ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 37-ით.

საბჭომ I, II და IV სტანდარტებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი დაწესებულებას განუსაზღვრა არაუგვიანეს 2028 წლის 11 ივნისისა.

**მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა:**

ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების (ყვარლის N1 საბავშვო ბაგა-ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მადონა ქეშიკაშვილმა. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში შემავალ ყვარლის N1 საბავშვო ბაგა-ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 14 და 15 აპრილს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის; სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“; სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 98. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმებოდა და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 98 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, მადონა ქეშიკაშვილმა, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ, მეორე და მესამე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო მეოთხე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა ინფრასტრუქტურული ხარვეზების აღმოფხვრის ვადებით.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლის განმარტებით, ინფრასტრუქტურულ საკითხებთან დაკავშირებით შესაბამისი მოთხოვნები უკვე წარდგენილია მუნიციპალიტეტში, შემუშავებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და ხარვეზების აღმოფხვრა ბიუჯეტის დამტკიცებისთანავე იგეგმება. ამასთან, მისივე განმარტებით, ღობის დაზიანებული მონაკვეთი უკვე აღდგენილია.

საბჭოს წევრი, ნინო გიუაშვილი, დაინტერესდა ინფრასტრუქტურული და სანიტარულ-ჰიგიენური ხარვეზების აღმოფხვრის საკითხებით და მუნიციპალიტეტის ჩართულობით აღნიშნული პროცესის მხარდაჭერაში.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ არსებული ხარვეზების აღმოფხვრა დაწესებულების ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, ხოლო აღნიშნული მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელება მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით იქნება უზრუნველყოფილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო - 12:22**

**დასრულების დრო -12:28**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების (ყვარლის N1 საბავშვო ბაგა-ბაღი) ავტორიზაციის და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 98 -ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 4

წინააღმდეგი - 3

**გადაწყვეტილება:**

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-6 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებას (ყვარლის N 1 საბავშვო ბაგა-ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 98-ით.

საბჭომ ავტორიზაციის I და IV სტანდარტებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2028 წლის 11 ივნისისა.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა:

**ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს (ქ. გორის N20 სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულება) ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს სხდომას საპატიო მიზეზის გამო ვეღარ ესწრებოდა მკა მათურაძე.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მარინა გოგოლაძემ. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს ქ. გორის N20 სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებაში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 23 და 24 მარტს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმი: ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში,“ (მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისათვის). სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 100. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების სტატუსის მაძიებელს შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 100 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, მარინა გოგოლაძემ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, მესამე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, ხოლო მეორე და მეოთხე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“.

ასევე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ ტექნიკური ხარვეზის გამო დასკვნაში მეორე სტანდარტის შეფასება მონიშნულია როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ნაცვლად „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, მესამე სტანდარტი მონიშნულია, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“ ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო მეოთხე სტანდარტი

შეფასებულია, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ნაცვლად „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

